განკარგულება:**g-31. 312317812**
თარიღი:**27/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №48

2023 წლის 27 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტების, ,,სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N 386 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის, 2023 წლის 12 ივნისის N MIA 3 23 01657554 წერილის საფუძველზე, 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტებად განისაზღვროს:

ა) სოფ. გრიგოლეთში, ზღვის აკვატორიაში სანაპიროს გასწვრივ 25 მეტრისა და სანაპიროდან 100 მეტრის სიღრმეში, მოქალაქე რომან სესკურიას (პ/ნ 42001023018) მომართვის საფუძველზე (წერილის რეგისტრაციის N:19/302314552-30), თანდართულ სიტუაციურ გეგმაში ასახული კოორდინატების შესაბამისად (დანართი N1).

ბ) სოფ. გრიგოლეთში, ზღვის აკვატორიაში სანაპიროს გასწვრივ 25 მეტრისა და სანაპიროდან 100 მეტრის სიღრმეში, მოქალაქე რომან წულაიას (პ/ნ 62004007419) მომართვის საფუძველზე (წერილის რეგისტრაციის N:19/302314553-30), თანდართულ სიტუაციურ გეგმაში ასახული კოორდინატების შესაბამისად (დანართი N2).

გ) სოფ. გრიგოლეთში, ზღვის აკვატორიაში სანაპიროს გასწვრივ 25 მეტრისა და სანაპიროდან 100 მეტრის სიღრმეში, მოქალაქე ვალერი კარანაიას (პ/ნ 42001001803) მომართვის საფუძველზე (წერილის რეგისტრაციის N:19/302314554-30), თანდართულ სიტუაციურ გეგმაში ასახული კოორდინატების შესაბამისად (დანართი N3).

მუხლი 2. არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო

პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით შესაძლებელია შეიცვალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტები.

მუხლი 3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს.

მუხლი 4 განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონოს „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი №1


ბაზირების სიტუაციური გეგმა
მ. 1:1500
x-725811,24
y-4658834,54
x-725823,17
y-4658812,57
100 მ.
25 მ.
შავი ზღვა
725700
725800
725900
726000

დანართი №2


ბაზირების სიტუაციური გეგმა
მ. 1:1500
x-725948,09
y-4658585,92
x-725960,03
y-4658563,96
100 მ.
25 მ.
შავი ზღვა
725800
725900
726000
726100

დანართი №3



ბაზრების სიტუაციური გეგმა
მ. 1:1500
726000
726100
726200
726300
x-726092,5
y-4658284,02
x-726104,44
y-4658262,05
100 მ.
25 მ.
შავი ზღვა